

# სიხვეუნი

№ 18

საქართველო

1986 წ.

ISSN 0132-6015


საქართველო  
ბიბლიოთეკა

ნ.ს. ჯ. ლომუასი



— კიდევ კარგი, აგვიღო ჩვენმა პატრონმა პური,  
თორემ დღესაც ვმეძვრები დავრჩებოდით!






— მე მალაზიას ვეძებდი და შენ სად მომიყვანე?  
— კარგი რამეების ყიდვა თუ გინდა, აქ არის, მალაზიას რას დაეძებ?

ნახ. ზ. ფორჩინისა



— თუ უშრომელი შემოსავლიდან მაძლევ მაგ ფულს, იცოდე, ხელს არ ვახლებ!

ნახ. მ. აბაშიძისა



— ჭერ ვაცალოთ ამ სახლის დამთავრება და მერე გავაგრძელოთ რევიზია!

# ფელეტონი

— შრომისმოყვარე, კეთილსინდისიერი, დისციპლინიანი... — მხოლოდ ასეთ სიტყვებს გაიგონებდით რუსთავის ქიმიური ქარხნის სარემონტო სამმართველოში ამავე სამმართველოს დურგალ ვიტია გერშტეინზე და, მართლაც, ხომ არ გგონიათ, რომ ამ ახალგაზრდა კაცს ოდესმე სამუშაოზე დაეგვიანოს ან გაეცდინოს?! მის ნახელავსაც ვერ დასდებდით წუნს. ჰოდა, ცხოვრობდა ვიტია გერშტეინი კარგი კაცის სახელით, გამომუშავებაც საკმაოდ სოლიდური ჰქონდა. ასე შეიქმნა მშრომელი კაცის მოდელი ვიტია გერშტეინმა.

მაგრამ ვიტია სხვა ცხოვრებაც ჰქონდა: მუშაობისაგან თვისუფალ დროს, უმეტესად კი დასვენების დღეებში, შაბათსა და კვირას, დედაქალაქის წიგნის მალაზიებს ესტუმრებოდა. საგულდაგულოდ, საათობით არჩევდა გასაურებული ავტორების წიგნებს.

— მეოჲდა, რა არის აქ ცუდი, მშრომელ კაცს რომ კარგი წიგნები იტაცებდეს? — იტყვის გულუბრყვილო მკითხველი.

სწორედ აქ მარხია ძაღლის თავი: ვიტია გერშტეინი შეძენილ წიგნებს რომ პორტფელში ჩაიწყობდა, ნაწილს კიდევ ილლიაში ამოიჩრია და ცენტრალური საკოლმეურნეო ბაზრისაკენ გასწევდა. აქ, ბაზრის შესასვლელთან, ერთი მყუდრო ადგილი ჰქონდა ამოჩემებული, ამოალაგებდა წიგნებს, გაშლიდა თავის პორტფელზე და იწყებდა წიგნებით სპეკულაციას.

ვინდა იცნობდა რუსთავის ქიმიური ქარხნის სარემონტო სამმართველოს წარჩინებულ დურგალს ვიტია გერშტეინს? — ამ შემთხვევაში თქვენს წინ იდგა

## ტელეფონის დაღება

ფელეტონი

— მაყვალ, დღესვე ჩამაიარე სოფელში და ასე, ოცი ოჯახიდან წინასწარ შეკრიბე 130-130 მანეთი ტელეფონის გაყვანისთვის! ისიც უთხარი, ტელეფონს რო დაგიდგამთ, მერე კიდევ ოფიციალურად 140 მანეთს გადაიხდით თითოეული-თქო!

- მერე რაღათა?
- როგორ თუ რაღათა?! სააბონენტო გადასახადს მე ხო არ ვადავუნდი?
- აბა, ეს 130 მანეთი რიღასთვის?
- რიღასთვისა და, ჩემთვის! ტელეფონის დაღება ფული ღირს!
- მე ამ ფულს ვერ აკრეფავ! — იუარა მაყვალამ.
- ვითომ რატომო?
- არაკანონიერია და იმიტომ!
- მაგა! შენ არავინ გეკითხება! უნდა შეაგროვო! ასეა საჭირო!

ეს დილაღი კავშირგაბმულობის ყვარლის რაიონული კვანძის ყოფილ უფროსს ადამ სეფიაშვილსა და სოფელ კუჭატნის საფოსტო განყოფილების ყოფილ უფროსს მაყვალა ბეკაშვილს შორის გაიმართა.

შეკამათებით კი შეეკამათა მაყვალა, მაგრამ უფროსის განაწყენებას და სკამის დაკარგვას ისევ ფულის შეგროვება ამჯობინა და რამდენიმე დღეში 2.600 მანეთიც გადასცა უფროსს თავის სამუშაო ოთახში.

— ესეც ეგრე! — ღიმილით ჩაიჯიბა ფული ადამ სეფიაშვილმა, — ეს სამუშაო არც გეგმით არის გათვალისწინებული და არც სამინისტროსთან შეთანხმებული, მაგრამ თუ გული ეკ... „ზსო, ხომ გავიგონია?!

მართლაც, სასწრაფოდ დამონტაჟა ადამ სეფიაშვილმა 50-ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური სოფელ კუჭატანში, გააშენა სახაზო მეურნეობა და ტელეფონებიც გაუყვანა 15 ოჯახს.



# ქვემო წყარო

ტიპური ჩარჩი, სპეკულანტი, რომელსაც მუშური სინდისი კაპიკებზე ჰქონდა გაყიდული. თვალთმაქცურად, პირმოთნედ უღიმოდა მყიდველს და ეფიცებოდა, უკიდურესმა გაჭირვებამ მიიძულა, თორემ ასეთ საუნჯეს როგორ შეველეოდიო!..

იმ დღესაც ასე მოხდა. ვიტყვამ თბილისის მალაზიებში შეიძინა წიგნები და ცენტრალურ ბაზართან შეჩვეულ ადგილზე მოკალათდა. წიგნებიც ჩვეულებისამებრ ლამაზად განალაგა.

მალე გამოჩნდა პირველი მუშტარი — ზ. შეყილაძე, რომელმაც 7 დასახელების საბავშვო წიგნი შეარჩია, რომელთა ღირებულებამ 11 მანეთი და 05 კაპიკი შეადგინა. ვ. გერშტეინმა მას 65 მანეთი გადაახდევინა.

ის იყო, ზ. შეყილაძემ ნაყიდი წიგნები სათუთად გაახვია, რომ მალე მეორე მუშტარიც გამოუჩნდა გერშტეინს — დავით ტაბაძაძე, მან ოთხი წიგნი შეარჩია და 3 მანეთად და 55 კაპიკად ღირებულ წიგნებში 28 მანეთი გადაიხადა. ე. ი. სულ რაღაც 14 მანეთისა და 60 კაპიკის რეალური ღირებულების წიგნებში სპეკულანტმა მიიღო 78 მანეთი და 40 კაპიკი მოგება.

ამით წახალისებულმა გერშტეინმა, ის იყო, თავისი დახლი ახალი გასაყიდი წიგნებით შეავსო, რომ თავზე მილიციის მუშაკები წაადგნენ.

ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ვ. გერშტეინს მიესაჯა 1 წლით გამასწორებელი მუშაობა ხელფასიდან 15 პროცენტის დაკავებით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ასე ჩამოეხსნა ნიღაბი ვ. გერშტეინს!

ზაალ მესენზისერი

## ფული ღირს!

საკუთარი ინიციატივითვე გახარჯა ამ დაუგვერდ საშუალებებზე ჯერ კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი 1056 მანეთის მასალა, შემდეგ კი ამავე რემონტისათვის დაშვებული ხელფასის ფონდიდან 805 მანეთი.

რაღაც სასწაულით ისიც მოახერხა, რომ დამონტაჟებზე რაიონული კვანძის მუშები ამუშავა და კაპიკიც არ გადაუხადა! არადა, ეს თანხა 1823 მანეთი იყო.

თან თავს იმით ინუგეშებდა, ვინ რა უნდა მითხრას, როცა ასე ვზრუნავ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის, მე რომ არა, ესენი ტელეფონს, ვის იცის, როდის ეღირსებოდნენო?!

თვითონ კი ბჭობდა ასე ადამ სეფიაშვილი, მაგრამ კუჭატნელებმა არ ჩაუთვალეს მათზე მზრუნველობად ასეთი „გარჯა“ და განცხადებები აფრინეს მართლმსაჯულების ორგანოებში მისთვის ქრთამის მიცემის თაობაზე.

რალა თქმა უნდა, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სოფლის „დიდი მოამაგის საქველმოქმედო მოღვაწეობის“ გასარკვევად.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას ყვარელში საჯარო სსდომავზე თ. ყრუაშვილის თავმჯდომარეობით აღარ დაუდგენია აღრე რამდენთ. ჯერ და რა ფასად იზრუნა ადამ სეფიაშვილი სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ეს უკანასკნელი „ნამოღვაწიცი“ საქმარისად ჩათვალა 10 წლით მის მისაბრძანებლად გაძლიერებული რევიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, ქონების კონფისკაციით.

მასვე დაუკისრა ქრთამად აღებული 2.700 მანეთისა და სახაზო მეურნეობის გაშენებაზე დასარჯული 1861 მანეთის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ფ. გაისანი

ნ.ბ. ზ. ფორჩინიძის



— მგონი, სკას მივაგენით!..  
— სკა კი არა, გაუტანელი სა-  
ნაგვე ბუნკერებია!

## ქვემოთმოხლო ქანთიქოსს

ჭღაბნი და ჭღაბნი ხალისით, —  
ჭღაბნაში არ გყავს ბადალი, —  
იქნებ ზოგ-ზოგმა ირწმუნოს,  
რომ შენ ხარ ცამდე მართალი!

ჭღაბნე: ღამეს დღე რატომ ცვლის,  
რატომ არ დგება ავღარი?  
თოვლი სხვის ბაღსაც რად ათოვს,  
რა საჭიროა ზამთარი?


უჩივლე: ადრე ვინც დგება,  
ვინც გამოკეტა სახლ-კარი,  
ვინც ძილში ხვრინავს ხმამაღლა,  
ვისაც წვავს ტრფობის ღაღარი,  
ვინც არემონტებს სახლს დროზე,  
უზვროს რად უდულს მაჭარი?

ვინც გუშინ თუთის ხე დარგო,  
დღეს ხარებს შეხსნა ბაჭარი!..  
ჭღაბნე: პავლეს რად ახველებს,  
პეტრე კეთილი რად არის?  
ხალხს რატომ უყვარს ძლიერად  
კაცი, მზეკაცის სადარი?  
წერა-ჩივილში ათენე,  
ალამე ფიქრით საზარით,  
ვისაც საქმით ვერ დაჭაბნი,  
ებრძოლე პასტით მაგარი!

ნათელა ლეგანიძე  
(ქ. თელავი)







„...საქართველოში 30 ათას კურდღელზე 80 ათასი მონადირე მოდის, ანუ უფრო მეტი, ვიდრე უნგრეთში, ავსტრიაში და ნეოს-ლოვკიაში ერთად აქვბული“.

გაზეთიდან

ერთი კურდღლის ათასი მფეხარი

**ლომა** გამოქვაბულში ექვსი ოთახი დაისაკურთა. გვერდით კიდევ პატარა გამოქვაბულები იყო, მაგრამ ამას ლომისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. აქ მას დაუზამთრდა.

ერთ დილას ლომს გვერდითი კედლიდან რაღაც სმაური მოესმა.

— ვინ არის მანდ?! — დაიღრილა ლომმა.

— მე კუ ვარ, ბატონო! ამ პატარა ოთახში მინდა დავიზამთრო!

— ჩქარა გაეთრიე აქედან! ეგლა მაკლია, გვერდით ოთახში იფსკუნო და ძილი დამიფრთხო!

— თქვენ აქ არ მეგონეთ, ბატონო, თორემ არ მოვიდოდი!.. ისე, უნდა გაგხარებოდათ: კარის



მეზობელი, სომ გაგიგონიათ, ამომავალი მზე არისო! რაკი არ გინდივარ მეზობლად, წავალ!..

კუ წავიდა და ლომის მოპირდაპირე მხარეს დაბინავდა პატარა ბინაში. დღე საკვების საშოვნელად დადიოდა. ერთხელ, ცუდ ამინდში, კურდღელი შესვლა და უთხრა: უბინოდ დავრჩი, ძმობი-

ლო კუ, ამ ზამთარში და სომ არ მიშველი რამესო?

— როგორ არა! ჩემს ბინაში გამოიზამთრე, ერთი ოთახი მაქვს, მაგრამ არა უშავს, იოლად გავიდეთ! — ორივე მეგობარი ერთად დადიოდა საკვებზე, ესმარებოდნენ ერთმანეთს, კარგად გამოიზამთრეს და ისე დამეგობრდნენ, შემდეგ

ყოველ ზამთარს ერთად იყვნენ. ლომს ძალზე გაუჭირდა მარტო ცხოვრება. ცუდად გახდა, არავინ ჰყავდა მშველელი, წყლის დამლევინებელი. ხანდახან, როცა ავად გახდებოდა, ან საკვები გამოეღუოდა და გაუჭირდებოდა, მისი ღრიალი ჰქვეყნას ესმოდა. უგონო და გაუმძლარი ლომი ბევრს ნაღვლობდა: კუ გვერდით კი არა, ნეტავ ჩემს ბინაში შემომეყვანაო! კუ კურდღელს გააცნო ლომის მისდამი დამოკიდებულება და როცა ლომის ღრიალს გაიგონებდნენ, ბევრს იცინოდნენ. ლომი თანდათან ჩამოხმა და დიდხანს აღარ უცოცხლია.

ვლადიმერ გომიზარიაძე



# სეჩან ჯეხიანიძე სატირულ-იუმორისტული ლირიკა



## არ შემიძლია!

მე ბოდიშს ვინდი, რომ ხშირად ვლამობ, ქვასანაყივით ვსტოდუ როდინში... ბოდიშს ვინდი, რომ „ცოდვების“ გამო არ შემიძლია მოსდა ბოდიშის!

თუ არ ვუწოდეთ თურ საგანს თუთრი, თუ არ დავარქვით ქვეყნად შავს შავი, გაგვწყრობია და ისაა, ღმერთი, — რას გვრგებენ ხელების ცაში ხავსავი?

ვდავობთ და სიმწრით გვედება ალი, როდესაც ცრუობს კაცი მავანი, თან ასახვევად დამჯერე თვალის უჭირავს ტოტი იასამანის.

როგორ გავჩუმდეთ, ვიდაც თუ ლამბავს მახეს ზურგს უკან, როგორც ობობა, როდესაც ზოგის ჩხრიალებს ბამბა და თავს ასალებს სკეინა ოფოფად?!

მე ბოდიშს ვინდი, რომ ხშირად ვლამობ, ქვასანაყივით ვსტოდუ როდინში და ჩემი ამგვარ „ცოდვების“ გამო არ შემიძლია მოსდა ბოდიშის!

რად მოვეფეროთ თაღლითს და გაქნილს, რად მიუწინოთ მყუდრო ლაფარო და სიძულვილი, ვით სახის ნაკლი, ასე სახალსოდ რისთვის დავფაროთ?

ვით შევიყვარებთ ამღვრულ ღელეს, როგორ დავტოვებთ მკრეხელთ უვნებელს, როდესაც ნესხში ამოსვრილ ხელებს გულში უხეშად აფათურებენ?

როგორ არ ვტყორცნოთ გამგმირავ ისარს, ვით არ შევძახოთ მკაცრი „არული!“ — ფუჭი გართობა ჰგონია ვინაც ქვეყნად სიკეთე და სიყვარული?

მე ბოდიშს ვინდი, რომ ხშირად ვლამობ ქვასანაყივით ვსტოდუ როდინში და ჩემი ამგვარ „ცოდვების“ გამო არ შემიძლია მოსდა ბოდიშის!

## მწარე სიმღერა

ვინც კეთილზე ბოროტად ახარსალებს ენასა, — დელი-დელი-დელასა, ჩავუმწარებთ ღხენასა!

ვინც ზურგს უკან კაცისთვის შავი ორბოს მოხრელია, — დელი-დელი-დელია, ღრჯუ და მავნებელია!

ვინაც ცდილობს წაკიდოს კაცი კაცს და ხე-ხესა, — ხე-ხე, ბიჭო, ხე-ხესა, ვერ მოგვჭამენ ფხვებსა!

## ვისაც...

ვისაც, ვისაც ამქვეყნად ენატრება სიკვდილი, — სად ხარ მიქელ-გამბრიელ? აუსრულე წადილი!.. ზოგჯერ ფხვქვემ ვეშლებო დულაბი და ქვიტკარი, ზოგჯერ წუთი გრძელდება მძიმე წელიწადივით!..



ზოგჯერ ლამაზს ვერ ვამჩნევთ და ართვალის ლამაზობს!.. საყვირს თუ არ ჩაპებურე, ვინ შევამჩნევს, ვინ გიცნობს?.. და ცხოვრების ღირებუ დადებული თარაზის ვერცხლისწყალი ცალთვალა ეშმაკივით ტინეციობს.

სანამ მკლავში ძალა გვაქვს, ყველამ დავრგოთ თითო ხე! ვასროლილი ისარი მარტო ავ სულს ხვედობოდექს!.. ვინაც ნატრობს ამქვეყნად დიდხანს, დიდხანს სიცოცხლეს, — ნეტავ, ნეტავ სიკვდილის მერეც ასრულეობოდექს!

## ჩუმაღ ტირიან

საკეჩისიო ფანით გაფენილ ხსნოს ნახმარ სამოსს როცა შევყურებ, ო როგორ ჰგვანან საცოდავები ტუის მახეში გაბმულ ბელურებს. მათი ფარფაში წარსულს ჩაბარდა, მზრუნველ ხელებს და თბილ მსრებს ნატრობენ;

ჭრელი კაბა და შავი ლაბადა ჩუმაღ ტირიან ყოფილ პატრონებს. უკვე იციან — ბედმა უმტყუნათ, ან ვის დატოვებს ბედი უვნებელს?.. და კანკალებენ, როცა მუმტრულად სხეულზე ხელებს ულაშუნებენ. დამდნარან დარდით და სიმარტოვით, ვაითუ აწი ჩრჩილის ჯერია?! და ასულდგმულვით ძველი პატრონის

სითბო, აქა-იქ რომ შერჩნიათ. გაუწებულან, მყიდველთ ზრიალში სული ეღვეთ კაბებს, ვილეტებს, — ზემოხსენებულ მაღაზიაში ჩრჩილის სახრავად რომ გაიმეტეს!..

## ვაი, რა გვემართება?!

იმდენ ბოღმას ანთხევს და იმდენ ვინმეს ძირს უთხრის, — გულში რისხვანამდგარმა ვოვალე, ვერ დავთვალე!.. ვაი, ეს რა მოგვსვლია, რად ვაყოვნებთ, ვის ვუცდით, ვაი, რა გვემართება, რატომ ვსუჭავთ თვალებს?

ისეთ ჭორებს ავრცელებს, — რომ არ გაიგონება! პაერს წამლავს სარსალა, გესლიანი ენა!..

ვაი, ეს რა მოგვსვლია, გვებინდება გონება, ვაი, რა გვემართება, რატომ ვინშობთ სმენას?

ისეთ რამეს იქადის, ისეთ საქმეს შებშია, ისეთ რამეს ქადაგებს, რომ სირცხვილით ვიწვი!.. ვაი, ეს რა მოგვსვლია, ხელი გავეშეშებია, ვაი, რა გვემართება? — ქვას ვერ ვწვდებით ცივ-ცივ!

ისეთ ვინმეს დანცინის, უტიფრად და აშკარად, წარბს არ არხევს, ყროყინებს, ვით თავსედი ვირი! ვაი, ეს რა მოგვსვლია, ყველი სიმწრით გამშრალა, ვაი, რა გვემართება? — ვერ ვახერხებთ ყვირილს!


დროა: მსგავსებს — გათვლავ! დარდი სანამ ვალსოთ?! რა გვჭირს, რა გვემართება, ხ ა ლ ს ო?!

## ოპოზა

ბუზს რომ გააბამს წყეული ობობა მზაკვრულ ბადეში, აუთოთოდდება სხეული, მწერის თბილ სისხლზე დაგეშის. ეცემა სარბი იერიით და სისხლს გამოწოვს მოლიანად, მაგრამ თუ შეხვდა ძლიერი, — ქსელს ჩაუჭრის და... იალა!.. კაცი რომ მახეს დაუგებს კაცს მტრულად, რაღა თქმა უნდა, სუსტი თუ მოხვდა, გაუშვებს, მასზე ღონიერს გაგუდავს!

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი





სისტამპო

**ქანაში** დილაადრიან გამოვედი. ქალაქი თან-თან იღვრიებდა, ძილის ბურანს იგიველად და კიდევ ერთი მხურვალე დღისათვის უნახადავინა კიბეზე წყნარ ჩამოვედი, გზაღმა საბრძოლველ მივიღე ნათურებს ვაჭრობელი როცა პირველ საბოლოო საფარველს, საოცარი სურათი გიხილავ: საფოსტო კუთხეში გახუტული და წერილებს აღვედებ, არც მტერი, არც ხალხი, ჩვენი უბნის ფოსტალიონი. ერთხანს გაოცებული ვუშვრდი, მერე შარვლის მარცხენა ჯიბიდან სამშენობლიან დაფარვებს და ფოსტალიონის ჩანთიანი ჩავედურე. მერსია. „მე რა არისო“, — მითხრა. „არაფერი“ — მითხრა, ადრეველი ვუახსნე, „თქვენი კეთილსინდისიერი შრომის განაგრძელო“ — მითხრა. „რას ბრძანებთო“, — წამოიხილდა მე თქვენი ყუთი ზედმეტი ანაფერი ჩამოვდგია, რაც გამოწერილი გაჭედი და გვაუფრთხო, ის მივარჩიე, „სამსუქე დამავლელი და თანაც დილაადრიან მორატუნენი, განი შეიძლება ამნარი შრომა არ დაღასდეს?“, მე ხომ ამისათვის ხელფას მამდივევო“, — მითხრა ფოსტალიონმა, სამშენობლიან მიძებნა, კატეგორიულად ჩამიბრუნა პიჯაკი გარეთა ვიბეში და ეღვინა უსწრაფლად გაიშინაღდა. ევროსა, აღება რაიმე სასითიორო სამსებს ვთხოვედი სამაგიეროდ. ვერ გამოვიქ.

შოთაძე ქუჩამდე, სადაც ავტობუსების გაჩერებაა, ათწუთიანი მონაკვეთი შვირად ვსაკვლედი. საწყვედელის წინ მივუხევი ლიონიანი გვიდა ქუჩას. დაფიქრე და საგანგებოდ დავაფრთხილე ისე გულდასუფილ. ისე დაფიქრე შენობაზე, სივარების ნაშენი კი არა, ამისთვის ლიონი არაფერ რჩებოდა მიმჭირნა მისი საქმიანობა, მადღერობის გრანოზიმი აღვიხე, გულისჯიბიდან ორი მანეთიანი ამოვაფრე და სახეშიოდ გავუწილე, თან ახლელ ვებულმა მივჭარხე:

— ინებო, მიაკყო, თქვენ ეს დაიშინებართ!



იურიპრესია

ძიაკაშა კი გვის პროცედურა შეუწყვიტა, ჩემს გარე-დოლ ხელს დაავტორბა, მე შევიმშობდა, მერე — ისევ ხელს და მითხრა:

— რომელი ნომერიში ცხოვრობს? მე უკუთარი ჩემი სახლის ნომერი — მე ჩემი სახლი არ არის, მაგრამ მე დავიგე! გულმურტავად ვუბრუნე, რომ გასამჯდელს უკვე ვაწვედი შრომისათვის ვთავაზობდი, იმისათვის, რომ აუღლდავლ, ჰატიონად ასრულებდა დაკისრებულ მივარტობას და ზოგიერთი ყლბაბანდოელი სხვათა შორის არ იქნებოდა ცოცხს.

ვერ გამოვიქი ფული არ გამომართავა და უნაშრომბედავ დადგილდა მხარზე ცოცხადებულე... საუშაოს დაწყებამდე კიდევ სამიო დრო მქონდა და ვაღაფრევედი, წყალსადრისი ლაბორატორიაში შეწყველიწინა ვერკიმი ჩვენი უბნის მხა დიარბა, წყალი რაოდენ პარტიკული აღმოაჩინებო. ავედი მესამე სართულზე მორიგე გვირანს დაიბინებდა, გაშაბთებულე თფორი ხალაიი ცეცხა და რაღაც ხელსაწყობს უბრძოლებდა. როცა ჩემი მიხსლენი მიზანი ვაიგო, დამიფდა და დავუზარებლად ამხისნა ლაბორატორიული მუშაობის პრინციპი, მიზანი, თვალდათვალ მანგენია იმ დაბიო ჩატარებულე

ვღებო და საშიში არაფერიო, დამარწმუნა. საქმიანბი უსადრე კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით აღბა-ეულმა და სულით ზორცამდე შეძრულმა, საფულედან ხუმაბნეიანი ამოივლე და რაღაც სისთვის სასეე კოლბასთან მიმოიწეობი დაფიქრე. „ის თქვენ — ჰატიონანი შრომისთვის“ — მითხრა გოვინდობდა, დაიბნა, ფული სა-ქაროდ ჩამიღო ხელში და მიხსნა: „იციო რა, თუ გამოი-დილი წყალი გნებავი მენანის ატულბატორისათვის, ისე მთავრთმევე უსახელოდღა“.

მე შეუბრძე შენგეში ამსანგანარტება უზროი იყო, მაგალითს ვაღებულად და სამსახურს მივარტე. შეხვედრისას კლუბში მოვუყავრეო თავი. მოწვეული ლექტორი ატოკიონის მაგნიტობაზე კითხვობდა დე-ქცეას-ფიჭერზე, ჯანდაბას უსადილოე კი ვრჩები, მაგ-რამ ვერ სახალს ზედათიანად გამოვიბინებ-მეთხი.

ვის დავაბინა ურებს არ ვუყურებდი, ისეთი საინტე-რესო ლექცია წაიკითხა. ვყველანი სულგანალები ვუ-სენდით და აღსროვანებულეო დავერით. ავდები და თუნიანი მივარტეო სახალსოდე, წამდილად ღირსი ბრძანებებით გასამჯდელის — მეთხი.

ეს ამბავი ატყდა ნებევი გენიალი კინაღამ მილიციას მარტოქმეს წესს დატყვევებ, არადა, რა გვენი ახეთი: კეთილსინდისიერი, ჰატიონანი ბრძობისათვის ვიძლედი გასამჯდელის!

თუკიჩვენს ვარმეო ვერ კიდევ ბევრი არ თათლობს ხელფასის გარეშე შეთავაზებულე ფულს, მაგათი რ ცხ-სელი წავიკიდათ!

არ ვიცი, რამდენ ხანს კინებოლები მე თითონი ცეცხლ-წაიკეთებდა და შუე დღეში ჩავგარდებდი, დროზე რომ არ გამწვებოძოდა..

**ლერი ჩანტლაქა**  
ელტერაფია დ. ზარაზიშვილისა




მწერა შერას აღარ ვიკავებ, ვაგჩენია ვედედო, ბზარო; რას კათლო, კავანდარავ? გვზარავს შენი ნარკოზარო. ტვიწონი აზრი ჩავენაცრა, ძარბული სისხლი ვაგვიწოდლა. შევივარი, რაც გწოდლა, შეიძულე, რაც ვეფიარდა.. რა შეიფეა შენი ძეგლი, არამაა შენთვის ფული! განა იუღლით? — შორსითა ხარ ფარფაცა და ამირფული! ჩანებულხარ, ჩავეხელობარ, ჩავერინებარ სხვა აღმასტას; რაო, გეწონია, განა, დაგწამებენ ნარკოლოგტას? არ იცუებდა ღღის წესიგო — უწესიგო შენი წესი, თუნდ ქვეყანაც დამიცუელა, — დახალო! უნდა ნების იმას უნდა ჩაეხეიო, ვინც ვაგხადა ასე უნდო. არაკაცში არამადაც ისევ უნდა ჩაახლო..

წერევი მთლიარტევი ჩაწედა, ცრემლი თვალზე ამოდ შერება.. შენ შრომისა გესმის ნაწედა, ცრემლი ვეუშინლოვრება?! ღამე წელი ათარაა — შენს გამო ვერ გათვულა, ჩათარე სტევიდა ჩუმედა, ჩაჩაქილდა, ჩათარულმა უკუემარტა მადამარტო გზას უნაწე.. კიდევ ასდღე, თუნდელიდა ვაგაწედი, უფრო რ უნდა? იციო რა, თუცა ვიძლედი იჩახს ვითომ, მოკვიდაც ცოდვის ქარი სულდელდაო თვავ და დარბო კიდევ უწესიანი ავღობა მივე ვენით, რას ცრემლო, შენი ძეა! ვამეძებ.. ერთადერთი — ვამეტება — შევიძალია გასოსე? ბევრას დაფარვა ჩაახლო ხელი (გასამბობი), ხან ბ ა ე უ ზ ბ ა დ მონალის და ხან ა ნ ც ბ ა დ შენი „სიხიბი“ მამის ხატიონ, პაბის ხატიონ.. აღარც ხატიონ, აღარც შიში, გასოსედიგო თუ ხარ გუყავარ, — ანგარბის ანგარბიში. ხორც ძილწევი ატყავება, მთლად ვაუტუდა შენი კვერი. გასოსეშიდა მამულს არ ჰყავს შენზე უფროს დღეი მტერიო. ხელცივიე ხარ და ვულცივიე! — მითხობა უნდა დადიქო. დღეს ამქანი სახის, ბეჭედს, ხელს საშობოების გამოთილი უსხენებლს დარად ცურავ, მაგრამ მაინც მოქნებსავენ, რაღაც გვიბარბ, მავ ლფავს ერთი, მარტოკაცე რომ ისხამდე!

გულდება სიმწრისაგან ჩვენი ბოლოს დინოზავრი, რას კათლო, კავანდარავ? — გვზარავს შენი ნარკოზარო

**ზაზა კაციაშვილი**





— ეს, ამხანაგებო, სიტყვით გამოგვყავს, ეს კი ნამდვილი მუშაა!

ლემონილ სუსორუკოვი

(კიევი)

# ფრაზები

- ფრთხილად უნდა იყო იმით, რომ წარმატებით ხონავდა.
- თვალწინ გაიზარდა, მაგრამ თვალში ვერ გაიზარდა.
- ზოგი ქორწინება მხოლოდ აორმაგებს მართობას.
- ისე უორს წავიდა, რომ თავიდან დაიწყო საკუთარი თავის ძებნა.
- ბოროტებას არ ამჩნევდა, მაგრამ იმახსოვრებდა.
- ჩიოდა, დრო არ მყოფნისო, და სხვებს ართმევდა.
- მარაფუტობას მძიმე ბავშვები უჩნდება.
- მაროს მარჯვენა ოქროიან ხელბეზე გაცვალა.

თარგმნა ე. მერაბიშვილმა

# შენი სიმაღლე

შენი სიმაღლე ის არის, რაც ხარ, ის არის მხოლოდ, მხოლოდ ის არის, და შენი წონაც ის არის, რაც ხარ, მეტი არა ხარ ერთი მისხალი! სულს ანუბივრებ, სორცხაც ინახავ, თავსა გრძნობ მშვიდად, ლამაზად, კონტად!.. რასაც იწონი, მხოლოდ ისა ხარ, ეს კი ცოტაა, ძალიან ცოტა!

ნოდარ შამანაძე





# საბჭოთა საქართველო

## „ნიანგის“ საქალაქებში

„ნიანგის“ ამა წლის მე-14 ნომერში გამოქვეყნდა თერჯოლის შამპანური ღვინოების ქარხნის პროდუქციასთან დაკავშირებული კარიკატურა.

ამის გამო საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ ჩხილაძემ გვწერს: „პარტიისა და მთავრობის მიერ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ ცნობილი დადგენილების მიღების შემდეგ რესპუბლიკის ყურძნის გადამამუშავებელი მრეწველობის წინაშე პირველი რიგის ამოცანად დანახა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ქართული ღვინის, შამპანურისა და კონიაკის ხარისხის შემდგომი ამაღლება.

ამ მიზნით სისტემის საწარმოებში, მათ შორის თერჯოლის შამპანური ღვინოების ქარხანაშიც, ბევრი რამ გაკეთდა (დაინერგა მოწინავე ტექნოლოგია, საექსპლუატაციოდ გადაეცა თანამედროვე იმპორტული მოწყობილობა და ა. შ.), რამაც აღნიშნულ ქარხანაში პროდუქციის საექსპორტო დანიშნულებით გამოშვების რეალური საფუძველი შექმნა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ შარშანდელ 80,0 ათას დეკალიტრთან შედარებით წელს დარგის მიერ გამოშვებულ პროდუქციაში ექსპორტის მოცულობა 2,5 მილიონ დეკალიტრს აღწევს, კერძოდ, სამჯერ გაიზარდა ქართული შამპანურის გატანა საზღვარგარეთ.

თქვენს ურჩხულში გამოქვეყნებული კარიკატურა მოულოდნელი იყო, ვინაიდან თერჯოლის შამპანური ღვინოების ქარხნის პროდუქციას მინიჭებული აქვს ხარისხის უმაღლესი კატეგორია, სისტემატურად იმსახურებს ცენტრალური სადეგუსტაციო კომისიის მაღალ შეფასებას და ბოლო ორ წელიწადში ქარხანას რეკლამაცია არ მიუღია.

დღევანდელ პირობებში, როდესაც მნიშვნელოვნად შემცირდა ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია, დაუმსახურებელი კრიტიკული გამოსვლა ისეთი ავტორიტეტული და პოპულარული ჟურნალისა, როგორც „ნიანგის“, კიდევ უფრო ართულებს სისტემაში შექმნილ ისედაც მძიმე მდგომარეობას და ხელს შეუშლის პროდუქციის როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო ბაზარზე გასვლას.

მომავალში, მასალის მომზადებისას, გთხოვთ გაითვალისწინოთ შემოადინებული“.

რედაქციისგან: „ნიანგის“ მომავალში, რასაკვირველია, გაითვალისწინებს შემოადინებულს, ანგარიშს გაუწევს აგრეთვე ქარხნის ხელმძღვანელობის აზრს იმის შესახებ, რომ, როგორც ყოველ სიახლეს, ქარხნის მიერ გამოშვებულ პირველ პროდუქციასაც თან სდევდა თავისებური ხარვეზები: დაბალი იყო ნახშირორჟანგა გაზის შემცველობა, მოიხსნებდა შეფუთვისა და გარეგნული გაფორმების საკითხები, გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო ნაკლებად ექცეოდა ყურადღება მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად საჭირო ასორტიმენტის პროდუქციით დაკმაყოფილების საკითხებს. ზემოთ აღნიშნული ხარვეზები ქარხნის კოლექტივის მობილიზებული მუშაობის შედეგად აღმოფხვრილი იქნა 1984 წლის 1 იანვრის მდგომარეობით...“ და, აქილ-ნ გამომდინარე, იმედოვნებს: თერჯოლის შამპანური ღვინოებზე ქარხანა რესპუბლიკის მომხმარებლებსაც კვლავ ისეთივე მაღალი ხარისხის პროდუქციას მიაწვდის, როგორც საკავშირო და საერთაშორისო ბაზარზე გააქვს.

ინგლისის მეფე ჯორჯ III ერთხელ ქალაქგარეთ გავიდა და ფუნდუკში სასაუზმოდ შეიარა. მაინცდამაინც არ შიოდა, ორი მოხარული კვერცხი მიირთვა და ანგარიში მოითხოვა. მეფუნდუკემ თითო კვერცხში გირვანქა სტერლინგი უანგარიშა. რას წარმოიდგენდა მეფე, თუ საუზმე ასე ძვირი დაუჯდებოდა!..  
— ალბათ თქვენთან კვერცხი იშვიათია! — უთხრა მეფემ.  
— კვერცხი კი არა, ბატონო, მეფეა იშვიათი! — უპასუხა მეფუნდუკემ.


ინგლისურიდან თარგმნა  
მამიკონ თაქორიანმა

ახს. ზ. ლეჟავასი



— ნახე, ისევ არ გამოუცვლიათ ჩვენი მაღაზიის დირექტორი და ნოქრები?  
— ნეტავ ასე მაღ-მაღე ასორტიმენტს ცვლიდნენ!





სსს სსს  
№ 636  
8.7.86

უსიტყვოდ

— ბენშინის ხარისხს რომ აფუჭებთ, იცით თუ არა, რომ ამით მანქანები ფუჭდებაან?!  
— სამაგიეროდ მე ვკეთლები!

\* \* \*

— რას ჭგავს ეს?! ისარი ორმოცს უჩვენებს და ბაკი კი არ ივსება!..  
— სამაგიეროდ ჩემი ჭიბე ივსება!

\* \* \*

— ფახებს რომ ამახინჯებთ, თქვენს მალაზიას პატრონი არა ჰყავს?!  
— პატრონი რომ ჰყავს, სწორედ იმიტომ ვამახინჯებთ-


\* \* \*

— „უიგულის“ ზეთი ოთხმოცდაათი კაბიკი ღირს, თქვენ მანეთს რატომ იღებთ ლიტრაში?  
— ვამრგვალებთ, ბატონო, ანგარიში რომ არ გავვიჭირდეს!

ვალერიან მოსაშვილი

სამაგიეროდ

ნახ. დ. თოთიბაძისა



— თქვენ რომ გამოგადგებათ, სწორედ ისეთი დაგეშილი ძაღლი მოგიყვანეთ!

წერილი „ნიანგს“ კავლოვის ქუჩიდან

გულისტკივილით მოგმართავ „ნიანგო“! იცი რა უნდა ვითხრა? — თბილისში, კავლოვის ქუჩაზე, ამ ბოლოს ძალიან მომრავლდა ვირთხა!

მივმართეთ ყველას, ვისაც ეს ენება, მაგრამ საშუელი არ ჩანს.. ვერ მოვიშორეთ, — თავების შეფუთავის სოროში დარჩა!

ზის არსებინად, კიდევ ლიღინებს, თათით რაღაცას წაბრებს.. ვერ შორევიდა, შორიდან უმზერს შეშინებული კატა!..

გვითხრეს: — რა ვქნათო, არ ეკარება მსუქანი ვირთხა წამალს! შენს იქით არ გვაქვს გზა წასასვლელი, უნდა გვიშველო, ძაბა!

ამაზე მეტად თუ გათავსდდა, დაველოდებით მაშინ! იქნებ შენთანაც გაბედოს მოსვლა, შემოგვაპაროს სახლში!

„ნიანგო“, შენი იმედით ვრჩებით, დაველოდებით დიდხანს! გთხოვ, შეახსენო, ვისაც ენება, რომ მოგვაშოროს ვირთხა!

კავლოვის ქუჩის №29 სახლში მცხოვრებთა სახელით — გონდო კარტოზია

გადაწყვიდელო თინაო!


არაშრომითი შემოსავლის მიღების შესანიშნავ სერეს მიაგნო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კვების კომბინატის №1 პავილიონის მზარეულმა თინა მოდებამ — მოსკოვში შეიძინა მოდური დეფიციტური საქონელი და, სამსახურს რომ არ მოსცდენოდა, სამუშაო ადგილზევე დაიწყო ვაჭრობა. გადაწყვიდელო თინა ხელმიუწვდომელ ფასებში ყიდდა იმპორტულ ნივთებს. მისი წყალობით ბევრმა რუსთაველმა მანდილოსანმა გადაყარა ზედმეტი თანხა, მაგრამ სამაგიეროდ სიამოვნებით ჩაიცვა მოდური კაბა და გაიკეთა მამასისხლად ნაყიდი ძვირფასი საყურეები და მძივები!..

შინაგან საქმეთა რუსთავის საქალაქო განყოფილების მუშაკებმა, რომლებმაც ქალბატონ თინას სპეკულაციაზე წაასწრეს, ასეთი ლექსი უძღვეს უშრომელი შემოსავლის მოტრფიალეს:

გადაწყვიდელო თინაო, მოსკოვში სწორად ფრინავო, სასპეკულანტო ნივთები ბევრი გქონია შინაო, არაშრომითი ნადავლი ბედმა არ შეგარჩინაო!

კირაკია ჩხვლეტინიძე





**დღეისათვის ყველა ფერზე ხელაღებით ნადირობა** (რომ აღარაფერი ვთქვათ ბრაკონიერობაზე) გონებრივ და ზნეობრივ ჩამორჩენილობად ითვლება. ეგ კი არაა, როცა ტირში შევდივართ, ბურღუნა დათუნებებს, ყურპანტურა კურდღლებსა და მელია-კუდიგრძელებს თოფის ლულას ვარიდებთ, მიუხედავად იმისა, რომ ვიცით, ისინი რუხინისანი არიან, და ვამჯობინებთ წრიულ სამიზნეებზე გავიწაფოთ ხელი. ეს იმიტომ, ადამიანები ვართ და



**პოლიტიკური ფელეტონი**

მოწყალე თვალთ ვუყურებთ ჩვენგან ერთ დროს საგრძნობლად დაზარალებულ ნადირფრინველთა მოდგმას, თან გვიხარია, რომ ასე ავმადლდით იმ ავადსასენებელი კაციჭამიობის შემდეგ, განვითარების ადრინდელ საფეხურზე რომ გვჭირდა. მართალია, ევოლუციის მომდევნო საფეხურებზეც კაცობრიობას არაერთხელ გამოერივნენ კაციჭამიები და დღესაც აქა-იქ კიდევ ჭამენ ერთმანეთს, მაგრამ ეს სამწუხარო გამონაკლისებია და ისინი მსოფლიო ამინდს ვერ ქმნიან.

კაციჭამიობის შემდეგ, განვითარების ადრინდელ საფეხურზე რომ გვჭირდა. მართალია, ევოლუციის მომდევნო საფეხურებზეც კაცობრიობას არაერთხელ გამოერივნენ კაციჭამიები და დღესაც აქა-იქ კიდევ ჭამენ ერთმანეთს, მაგრამ ეს სამწუხარო გამონაკლისებია და ისინი მსოფლიო ამინდს ვერ ქმნიან.

თქმა არ უნდა, გვიხარია, თავი მოგვწონს ჩვენი დიდსულოვნებით და იმის შეგნებით, რომ დედამიწაზე მშვიდობა დავამყარეთ, პლანეტის გონიერი პატრონები გავნდით და იარაღზე საბოლოოდ ავიღეთ ხელი.

თქმა არ უნდა, გვიხარია, თავი მოგვწონს ჩვენი დიდსულოვნებით და იმის შეგნებით, რომ დედამიწაზე მშვიდობა დავამყარეთ, პლანეტის გონიერი პატრონები გავნდით და იარაღზე საბოლოოდ ავიღეთ ხელი.

და სწორედ ამ დროს არც მეტი, არც ნაკლები, კვლავ ადამიანის ფიგურას გვიხვამენ კარაბინის, ავტომატის, ტყვიამფრქვევის, ზარბაზნისა თუ რაკეტის სამიზნეებზე. გვიხვამენ და სასროლადაც გვაქეზებენ. — რა მოხდა მერეო, — ვაღიძებულ ნიღბებს თავს აფარებენ, — ეს მისტერია არ გეგონოთ, მისტერული, ვაჟკაცური თამაშია, უბრალო ტირიაო!.. ტირში შედის მღვდელიც, ადმირალიც, მაგრამ იქიდან გამოსული არავინ გვიხანავს კაცი ნატირალიო. ტირი ვასწავთ, ბატონო, სტილიზებულიო, თვითონ პრეზიდენტის მიერ ხელდებულიო, სხვანაირად ვუწოდებთ სათამაშო პავილიონსო, ღმერთმა მუშტარი არ დაგვიღიოსო, გნებავთ, გავაცნობთ, როგორც „ფოტონსო“, გასართობებში ვერ მოუძებნით ტოლსო!

დასასმის აგებულ პირველ ტირს „ფოტონს“ კაცის კვლისათვის პასუხს არვინ მოსთხოვს, ამიტომაც აუღვამს ფეხი, გაუვლია ასობით ვერსი, ჯერ დამკვიდრებულია ტორონტოში, მერე — ნიუ-ჯერსში.

ღიას, მართლაც სტილიზებული ტირია „ფოტონი“, ოღონდ ვრცელ დარბაზში არსად ჰკიდია მის შემქმნელთა ფოტონი, პავილიონი ქცეულია კოსმოსურ პოლიგონად. საოცარია, როგორ, საიდან, ასე კარგად ვინ მოიგონა, გატეხოს კოსმოსური ომის ნავსი და კაცის კვლასი თამაშს ასე მაგრად აუწიოს ფასი. სამხანკვარ დოლარგადაშვლებილთა გუნდი და გუნდი, ხედავ, ომის ბოსებს კოსმოსში მიუღიოთ, მეომრები სხვადასხვა მხრიდან გადიან პოლიგონზე და იარაღსხმულნი უკვე აღარ

ღიას, მართლაც სტილიზებული ტირია „ფოტონი“, ოღონდ ვრცელ დარბაზში არსად ჰკიდია მის შემქმნელთა ფოტონი, პავილიონი ქცეულია კოსმოსურ პოლიგონად. საოცარია, როგორ, საიდან, ასე კარგად ვინ მოიგონა, გატეხოს კოსმოსური ომის ნავსი და კაცის კვლასი თამაშს ასე მაგრად აუწიოს ფასი. სამხანკვარ დოლარგადაშვლებილთა გუნდი და გუნდი, ხედავ, ომის ბოსებს კოსმოსში მიუღიოთ, მეომრები სხვადასხვა მხრიდან გადიან პოლიგონზე და იარაღსხმულნი უკვე აღარ

არიან გონზე, აცვიათ სკაფანდრები ჰერმოშლეშეპით და დასტიან ლაზერული პისტოლეტებით, როგორც შლეგები. გუგუნებს ტექნიკა კომპიუტერული, იწყება ომი ფრიად შტერული!.. რასაც იქ სჩადიან ულტრამეკობრენი, ვერა, ვერ ითქმება გასაგები ენით!.. გუგუნებს „მუსიკა კოსმოსური“, რაც უფრო ახვლებს ლაზერულ-რაკეტული ბრძოლის წყურვილს! სივრცეებს ანათებს მფეთქებადი ალი მკვეთრი და მოჩანს დასალაშქრი სანეტარო „მართვის ცენტრი“. ბრძოლა ეშსში შედის, თანდათან მშვავდება, ჰა, რაღა აკლია მის ხელში ჩაგდებას!

ანაზღად უკუნი მოიცავს ყველაფერს, ერთბაშად მეფდება დუმილი სამარის, გამარჯვებულთა გაისმის მუსიკა, თუმც გამარჯვებული არავინ არის.

რობოტი აცხადებს შედეგს საზეიმოდ, ჰკიდებს გამარჯვებულთ ქულების ორდენებს, დამარცხებულთ კი უჯობთ გაეცალონ, სანამ რამე შარს კიდევ არ მოსდებენ. გრიალებს მუსიკა მხედრული, სამწყობრო, ვარსკვლავიერი ომის მოგებისა, მორიგი ბრძოლის დაწყებამდე დროებით, მცირე ხნით ასვენებენ ტირსაც.

არიან გონზე, აცვიათ სკაფანდრები ჰერმოშლეშეპით და დასტიან ლაზერული პისტოლეტებით, როგორც შლეგები. გუგუნებს ტექნიკა კომპიუტერული, იწყება ომი ფრიად შტერული!.. რასაც იქ სჩადიან ულტრამეკობრენი, ვერა, ვერ ითქმება გასაგები ენით!.. გუგუნებს „მუსიკა კოსმოსური“, რაც უფრო ახვლებს ლაზერულ-რაკეტული ბრძოლის წყურვილს! სივრცეებს ანათებს მფეთქებადი ალი მკვეთრი და მოჩანს დასალაშქრი სანეტარო „მართვის ცენტრი“. ბრძოლა ეშსში შედის, თანდათან მშვავდება, ჰა, რაღა აკლია მის ხელში ჩაგდებას!

ანაზღად უკუნი მოიცავს ყველაფერს, ერთბაშად მეფდება დუმილი სამარის, გამარჯვებულთა გაისმის მუსიკა, თუმც გამარჯვებული არავინ არის.

რობოტი აცხადებს შედეგს საზეიმოდ, ჰკიდებს გამარჯვებულთ ქულების ორდენებს, დამარცხებულთ კი უჯობთ გაეცალონ, სანამ რამე შარს კიდევ არ მოსდებენ. გრიალებს მუსიკა მხედრული, სამწყობრო, ვარსკვლავიერი ომის მოგებისა, მორიგი ბრძოლის დაწყებამდე დროებით, მცირე ხნით ასვენებენ ტირსაც.

თუ ვინმე ახირდა, თუნდ გუნდი, თუნდ რაზმი, სხივებით დაცხრილული და მარცხნაწვენევი, შეუძლია დაყაჭოს დოლარები და კვლავაც გასდეს მორიგი ომის გამოწვევი.

თუ ვინმე ახირდა, თუნდ გუნდი, თუნდ რაზმი, სხივებით დაცხრილული და მარცხნაწვენევი, შეუძლია დაყაჭოს დოლარები და კვლავაც გასდეს მორიგი ომის გამოწვევი.

დალასში აგებულ პირველ ტირს „ფოტონს“ კაცის კვლისათვის პასუხს არვინ მოსთხოვს, ამიტომაც აუღვამს ფეხი, გაუვლია ასობით ვერსი, ჯერ დამკვიდრებულია ტორონტოში, მერე — ნიუ-ჯერსში.

დალასში აგებულ პირველ ტირს „ფოტონს“ კაცის კვლისათვის პასუხს არვინ მოსთხოვს, ამიტომაც აუღვამს ფეხი, გაუვლია ასობით ვერსი, ჯერ დამკვიდრებულია ტორონტოში, მერე — ნიუ-ჯერსში.

უფრო თავშეკავებული ამერიკელები შორით უმზერენ ამ ფოტო-სასაკლავოს და უკვირთ ფრიად: კოსმოსური პოლიგონის ამგებთ რად დავიწყებიათ აქვე სასაფლაო? კოსმოსურ ომში საბოლოო გამარჯვება ხომ მკვდრებს რჩებათ მსოფლოდ? მაშ, საზეიმო მუსიკა რატომ ისმისო ბოლოს?

უფრო თავშეკავებული ამერიკელები შორით უმზერენ ამ ფოტო-სასაკლავოს და უკვირთ ფრიად: კოსმოსური პოლიგონის ამგებთ რად დავიწყებიათ აქვე სასაფლაო? კოსმოსურ ომში საბოლოო გამარჯვება ხომ მკვდრებს რჩებათ მსოფლოდ? მაშ, საზეიმო მუსიკა რატომ ისმისო ბოლოს?

რაკი კოსმოსური ტირი კაცობრიობის საღ ფსიქიკას აყენებს ფანტასტიკურ ზიანს, ამით იგი აცხადებს კოსმოსური სატირალის პრეტენზიას.

რაკი კოსმოსური ტირი კაცობრიობის საღ ფსიქიკას აყენებს ფანტასტიკურ ზიანს, ამით იგი აცხადებს კოსმოსური სატირალის პრეტენზიას.


ამას ასკვნის ყველა — მღვდელიც, ადმირალიც, ტირში ბრძოლის დამთავრებას უნდა ახლდესო მუსიკა სატირალის.

ამას ასკვნის ყველა — მღვდელიც, ადმირალიც, ტირში ბრძოლის დამთავრებას უნდა ახლდესო მუსიკა სატირალის.

იმედი უნდა ვიქონიოთ, დღეს-ხვალ პავილიონი „ფოტონი“ კოსმოსური სატირალის სახით წარმოგვიდგება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, დღეს-ხვალ პავილიონი „ფოტონი“ კოსმოსური სატირალის სახით წარმოგვიდგება.

**ელგუჯა მერაბიშვილი**





ნახ. შ. ლელაძისა



— ეს გაზა რომ იწვის, სად არიან პასუხის-  
მგებელი პირები?  
— ახერ არიან, გაბონო, ცხსსლზე ითხოვან  
ხელეგს!



საბირისა და იუმორის  
ჟურნალი „ნიანგი“ № 18  
(1724). სექტემბერი. გამო-  
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი  
ზაქარ გოლავაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
ჭაბუა ამირეჯიბი, ნოზლი  
ბართაია, ბორის გურგუ-  
ლია, რევან თვარაძე, ჭემალ  
ლოლუა, ნოდარ მაღალაშვილი  
(მხატვარ - რედაქტორი),  
ალექსანდრე სამსონია, ბე-  
ჟან სიხარულიძე, (მთავარი  
რედაქტორის მოადგილე),  
ჭანსუდ ჩარკვიანი, თამაზ  
წიფვივაძე, ნათი ჭუსოთი.

ტექნიკური რედაქტორი  
ირაკლი ღუნდუა

გადაცემა ასაწყობად  
26. 08. 86 წ. ხელმოწერი-  
ლია დასაბეჭდოდ 22. 09.  
86 წ. ქალაქის ზომა  
60 X 90<sup>1</sup>/<sub>8</sub>. ფიზიკური ნაბე-  
ჭდი ფურცელი 1,5, სალ-  
რიცხო-საგამომცემლო თა-  
ბახი 1,9, საქართველოს  
კვ. ცკ-ის გამომცემლობა,  
ლენინის 14. შეკვ. 2003  
შე 05155. ტირაჟი 143.000.  
ჟურნალი გამოდის თვეში  
ორჯერ. რედაქციაში შემო-  
სული მასალები ავტორებს  
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008.  
თბილისი-8, რუსთაველის  
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი  
რედაქტორის — 99-55-54,  
მთ. რედ. მოადგილის —  
93-19-42, პ/მგ მდივნის —  
93-10-78, მხატვარ-რედაქ-  
ტორის — 99-02-38, გან-  
ყოფილებათა გამგეების —  
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
მუშაკების — 99-02-38,  
მდივან-შემანქანის —  
99-76-69.

სატირიკო - юмористиче-  
ский журнал «НИАН-  
ГИ» (На грузинском  
языке) Тбилиси, пр. Ру-  
ставели № 42. Издаель-  
ство ЦК КП Грузии,  
типография издательства  
ЦК КП Грузии, Тбили-  
си, улица Ленина № 14.

ინდექსი 76137  
ფასი 20 კაპ.

